ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათი

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერია 2022 წლის ბიუჯეტის პროექტისა და საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტების შედგენისას ხელმძღვანელობდა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით"– საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი"-ს 77-ე მუხლის შესაბამისად.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2021 წლის 5 ოქტომბრის №04-03/121095 და 2021 წლის 10 ნოემბრის N04-03/134581 წერილის მიხედვით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2022 წელს მიიმართება გასანაწილებელი დამატებული ღირებულების გადასახადის 0.55%, რაც ნომინალურ გამოხატულებაში საორიენტაციოდ შეადგენს 6907,5 ათას ლარს, რომელიც დაკორექტირდება დამატებული ღირებულების გადასახადის საკასო შემოსავლის მიხედვით, იმავე წერილით ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა 700.0 ათასი ლარით. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2022 წლის გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები შეადგენს 7607,5 ათას ლარს. მათ შორის: ქონების გადასახადი 700.0 ათას ლარს. აქედან საქართველოს საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) 700 ათასი ლარს,

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისათვის მიზნობრივი ტრანსფერი განსაზღვრულია 195.0 ათასი ლარით.

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში სხვა შემოსავლები დაგეგმილია 2041,5 ათასი ლარი. მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 300.0 ათასი ლარი. პროცენტებიდან შემოსავალი 25.0 ათასი ლარი იჯარა, ქირავნობის გადასახადი 15,0 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი 150,0 ათასი ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 30.0,0 ათასი ლარი. ხოლო სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) 45.0 ათასი ლარი. შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 1886,5 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის შემოსავლები განისაზღვროს 10254,0 ათასი ლარით

არაფინანსური აქტივების კლება გათვალისწინებულია 350.0,0 ათასი ლარი,

სულ მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრება 10604,0 ათასი ლარით.

მუნიციპალიტეტის გადასახდელები განისაზღვროს 10604,0 ათასი ლარით. ხარჯები (დასაქმებულთა რაოდენობა 142) დაგეგმილია 9958,0 ათასი ლარი. მათ შორის: შრომის ანაზღაურება 3351,6 ათასი ლარი. საქონელი და მომსახურება 1112,4 ათასი ლარი, (მათ შორის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 231,0 ათასი ლარი), სუბსიდია განისაზღვრა 4099,5 ათასი ლარით. სოციალური უზრუნველყოფა 842,5 ათასი ლარი. სხვა ხარჯები 552,0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების ზრდა დაგეგმილია 646,0 ათასი ლარით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადასახდელები განისაზღვროს 1275,9 ათასი ლარით.

საკრებულოს ხარჯები (დასაქმებულთა რაოდენობა 31) დაგეგმილია 1270,9 ათასი ლარი. მათ შორის: შრომის ანაზღაურება 891,4 ათასი ლარი. საქონელი და მომსახურება 319.5 ათასი ლარი, (მ/შ: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 103.0 ათასი ლარი, მივლინებები 3.0 ათასი ლარი, ოფისის ხარჯები 39.5 ათასი ლარი, წარმომადგენლობითი ხარჯები 5.0 ათასი ლარით ტრანსპორტისა და ტექნიკის, ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები 160.0 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 5.0 ათასი ლარი. სხვა ხარჯები 55.0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მერიის გადასახდელები განისაზღვროს 2872,5 ათასი ლარით.

მერიის ხარჯები (დასაქმებულთა რაოდენობა 104) დაგეგმილია 2852,5 ათასი ლარი. მათ შორის: შრომის ანაზღაურება 2310,0 ათასი ლარი. საქონელი და მომსახურება 532.5 ათასი ლარი, (მ/შ: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 128.0 ათასი ლარი, მივლინებები 5.0 ათასი ლარი, ოფისის ხარჯები 125.5 ათასი ლარი, წარმომადგენლობითი ხარჯები 10.0 ათასი ლარით ტრანსპორტისა და ტექნიკის, ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები 165.0 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 99.0 ათასი ლარი,)

სოციალური უზრუნველყოფაზე 6.0 ათასი ლარი. სხვა ხარჯებზე 4.0 ათასი ლარი. მერიის არაფინანსური აქტივების ზრდა დაგეგმილია 20.0 ათასი ლარით, მანქანა დანადგარები და ინვენტარის შეძენის მუხლით.

მუნიციპალიტეტის თავდაცვის უნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური) გადასახდელები განისაზღვროს 168,6 ათასი ლარით.

ხარჯები (დასაქმებულთა რაოდენობა 7) დაგეგმილია 167,6 ათასი ლარი. მათ შორის: შრომის ანაზღაურება 150,2 ათასი ლარი. საქონელი და მომსახურება 17.4 ათასი ლარი, (მ/შ: მივლინებები 2.0 ათასი ლარი, ოფისის ხარჯები 6.4 ათასი ლარი, ტრანსპორტისა და ტექნიკის, ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები 9.0 ათასი ლარი.)

სარეზერვო ფონდი განისაზღვროს 80.0 ათასი ლარით, რომელიც აისახოს მუხლში საქონელი და მომსახურების სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება.

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი დაგეგმილია 353,0 ლარით.

საგზაო ინფრასტრუქრურის მოვლა-შენახვა გადასახდელები დაგეგმილია 180,0 ათასი სუბსიდიების მუხლით; აქედან საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვაზე გათვალისწინებულია 175,0 ათასი ლარი და მუნიციპალური ღონისძიებისათვის სატრანსპორტო გადაყვანა 5,0 ათასი ლარი ,,სუბსიდიების'' მუხლით.

გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაგეგმილია 235,0 ათასი ლარით, აქედან საქონელი და მომსახურების მუხლით 180,0.

გარე განათების მოვლა-შენახვა დაგეგმილია 55,0 ათასი ლარით სუბსიდიების მუხლით.

წყლის სისტემების გადასახდელი დაგეგმილია 141,0 ათასი ლარი, აქედან საქონელი და მომსახურების მუხლით დაგეგმილია 3,0 ათასი ლარი, სუბსიდიის მუხლით დაგეგმილია 138,0 ათასი ლარი აქედან:

სასმელი წყლის სისტემების მოწყობა რეაბილიტაცია მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია განისაზღვროს 133,0 ათასი ლარით. აქედან საქონელი და მომსახურება განისაზღვროს 3,0 ათასი ლარით, 130,0 ათასი ლარით სუბსიდიების მუხლით.

საკანალიზაციო სისტემების მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია დაგეგმილია 8,0 ათასი ლარით სუბსიდიების მუხლით.

მუნიციპალიტეტის შენობების რეაბილიტაცია დაგეგმილია 70,0 ათასი ლარი ,,არაფინანსური აქტივების'' ზრდის მუხლით.

მუნიციპალიტეტის ქალაქ ჩხოროწყუსა და სოფლების ცენტრების კეთილმოწყობა განვითარება და მართვის გადასახდელები განისაზღვროს 150,0 ათასი ლარით არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით.

სასაფლაოების მოვლა-შენახვა განისაზღვროს 45,0 ათასი ლარით, სუბსიდიების მუხლით.

საპროექტო-სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის, სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განისაზღვროს 200,0 ათასი ლარით არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით.

რგფ-სა და მგფ-ს და არასამთავრობო ორგანიზაციებს პროექტების თანადაფინანსება განისაზღვროს 200,0 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით.

სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა განისაზღვროს 45,0 ათასი ლარით, სუბსიდიების მუხლით.

დასუფთავებისა და ნარჩენების გატანა განისაზღვროს 465,0 ათასი ლარით სუბსიდიების მუხლით.

სკოლამდელი განათლების გადასახდელები განისაზღვროს 2000,0 ათასი ლარით სუბსიდიების მუხლით,

საჯარო სკოლების დაფინანსება განისაზღვროს 30.0 ათასი ლარით სუბსიდიების მუხლით,

განათლების ხელშეწყობა განისაზღვროს 80.0 ათასი ლარით, სუბსიდიების მუხლით.

ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა განისაზღვროს 160,0 ათასი ლარით, სუბსიდიების მუხლით.

სპორტული დაწესებულების ხელშეწყობა განისაზღვროს 190,0 ათასი ლარით, სუბსიდიების მუხლით.

სპორტული ღონისძიებების დაფინანსება განისაზვროს 30,0 ათასი ლარით საქონელი და მომსახურების მუხლით.

კულტურის სახლების, სასოფლო კლუბების და ბიბლიოთეკების ხელშეწყობა განისაზრვროს 390,0 ათასი ლარით, სუბსიდიების მუხლით.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელშეწყობა განისაზღვროს 105,0 ათასი ლარით, სუბსიდიების მუხლით.

სახელოვნებო სკოლების დაფინანსება განისაზღვროს 105,0 ათასი ლარით, სუბსიდიების მუხლით.

კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა განისაზღვროს 30,0 ათასი ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლით.

ახალგაზრდული პროგრამების ხელშეწყობა განისაზღვროს 20.0 ათასი ლარით, სუბსიდიების მუხლით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება განისაზრვროს 148,0 ათასი ლარით, სუბსიდიების მუხლით.

ვეტერანთა სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები) განისაზრვროს 3.0 ათასი ლარით, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით.

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა განისაზღვროს 796,0 ათასი ლარით აქედან 8,5 ათასი ლარი საქონელი და მომსახურების მუხლით, 782,5, ათასი ლარი სოციალური უზრუნველყოფის მუხლით, მ.შ: მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა 135,0 ათასი ლარი, ახალშობილ ბავშვთა დახმარების პროგრამა 50.0 ათასი ლარი, თირკმლის დიალეზზე მყოფთა პროგრამა 30,0. ათასი ლარი, უსინათლოთა პროგრამა 10.0 ათასი ლარი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა და ავღანეთის ომებში მონაწილეთა დახმარების პროგრამა 50,0 ათასი ლარი, ას წელს გადაცილებულთა დახმარების პროგრამა 3,0 ათასი ლარი, უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა 30,0 ათასი ლარი, გაუსაძლის საბინაო პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება 70,0 ათასი ლარი, შეჭირვებულ ოჯახებისათვის სხვა ერთჯერადი სოციალური დახმარება 100,0 ათასი ლარი, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება 266.0 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით. ჩერნობილის ავარიის ლიკვიდაციაში მონაწილეთა დახმარება 3,5 ათასი ლარი, შშმ ბავშვთა და მოზარდთა დახმარების პროგრამა განისაზღვროს 48,5 ათასი ლარით. აქედან 35,0 ათასი ლარი სოციალური უზრუნველყოფის მუხლით და 8,5 ათასი ლარი სუბსიდიის მუხლით.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა (უფასო სასადილო) განისაზღვროს 40,0 ათასი ლარით, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით.

უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები განისაზღვროს 1.0 ათასი ლარით, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით.

სტიქიური უბედურებების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯი განისაზღვროს 60,0 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით.

პატივისცემით,

დ. გოგუა
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერი